**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# ზაქარია

ზაქარია, გარეჯის დოდოს მონასტრის წინამძღვარი 1704–08 და 1711–12. XVII ს. დასასრ. აღადგინა უცხოელ დამპყრობთა მიერ მოოხრებული და გაუქმებული დოდოს მონასტერი. ზრუნავდა მისი ეკონ. განმტკიცებისათვის: მატერ. დახმარება და ადგილ-მამულები მიიღო ნინოწმინდელი ეპისკოპოსის იოსებისაგან (ვაჩნაძე), კახეთის სამეფო კარისაგან და სხვ. საკუთარი სახსრებით მონასტერს შეუძინა ვენახი საგარეჯოში.

*ლიტ.*: ლ ო მ ი ნ ა ძ ე  ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966.

***ბ. ლომინაძე***